აღწერილობა

ემბლემა წარმოადგენს გვიანგოტიკურ, ჰორიზონტალურად ვერცხლის (თეთრი) სარტყლით ორად გადაკვეთილ ჰერალდიკურ ფარს, რომლის პირველი ზედა ნახევრის მეწამულ (წითელ) ველზე გამოსახულია ერთმანეთზე დადებული მოტივტივე ვერცხლის ციხესიმაგრე, ქვემოდან აღმართული ვერცხლის ხმლით. ფარის მეორე ქვედა ნახევრის ოქროს (ყვითელ) ველზე, შუაში, გამოსახულია ვერცხლის (თეთრი) მოტივტივე ერთმანეთზე დადებული კბილანა და ჩაჩქანი. სევადის (შავი) სარტყლის შუაში გამოსახულია ვერცხლის (თეთრი) მოტივტივე ქართული ასომთავრული ანბანის ასო-ნიშანი „დ“.

საველე ფორმის შევრონისთვის ფარის პირველი ზედა ნახევრის მეწამული (წითელი) და მეორე ქვედა ნახევრის ოქროს (ყვითელი) ველები იცვლება დამცავი მწვანე (ხაკის) ფერით. ერთმანეთზე გადადებული მოტივტივე ვერცხლის ციხესიმაგრე, ქვემოდან აღმართული ვერცხლის ხმლით და ვერცხლის (თეთრი) მოტივტივე ერთმანეთზე დადებული კბილანა და ჩაჩქანი იცვლება სევადის (შავი) ფერით. სარტყელზე გამოსახული ვერცხლის (თეთრი) მოტივტივე ქართული ასომთავრული ანბანის ასო-ნიშანი „დ“ იცვლება დამცავი მწვანე (ხაკის) ფერით.

აღწერილობა

ემბლება წარმოადგენს გვიანგოთიკურ ჰორიზონტალურად ვერცხლის (თეთრი) სარტყლით ორად გადაკვეთილ ჰერალდიკურ ფარს, რომლის პირველი ზედა ნახევრის მეწამულ (წითელ) ველზე გამოსახულია მოტივტივე ვერცხლის (თეთრი) ჰერალდიკური ბოლნური ჯვარი, გულზე ფარაკით, რომლის მეწამულ (წითელ) ველზე გამოსახულია ქართული ასომთავრული ანბანის ასო-ნიშანი „ა“. ფარის მეორე ქვედა ნახევრის სევადის (შავი) ველზე, შუაში გამოსახულია ვერცხლის (თეთრი) მოტივტივე გადაჯვარედინებული გასაღები და სატევარი.



საველე ფორმის შევრონისთვის ფარის პირველი ზედა ნახევრის მეწამული (წითელი) და მეორე ქვედა ნახევრის სევადის (შავი) ველი იცვლება დამცავი მწვანე (ხაკის) ფერით. ვერცხლის (თეთრი) ჰერალდიკური ბოლნური ჯვარი, ფარაკი და ვერცხლის (თეთრი) ასომთავრული ანბანის ასო ნიშანი ,,ა“ იცვლება სევადის (შავი) ფერით და სრულდება აბრეშუმის შავი ნაქარგით. სარტყელზე გამოსახული ვერცხლის (თეთრი) სარტყელი და ვერცხლის (თეთრი) გადაჯვარედინებული გასაღები და სატევარი იცვლება სევადის (შავი) ფერით.



აღწერილობა

დროშა წარმოადგენს მართკუთხა, ჰორიზონტალურად ვერცხლის (თეთრი) სარტყლით ორად გადაკვეთილ ქსოვილს, პროპორციით 2/3, რომელსაც სიგრძის 1/3-ზე, მოძრაობის მიმართულების საწინააღმდეგო მხარეს აქვს ორი კუწუბო. დროშის ზედა პირველი ნახევრის მეწამულ (წითელ) ველზე გამოსახულია მოტივტივე ვერცხლის (თეთრი) ჰერალდიკური ბოლნური ჯვარი გულზე ფარაკით, რომლის მეწამულ (წითელ) ველზე გამოსახულია ქართული ასომთავრული ასო-ნიშანი „ა“. დროშის მეორე ქვედა ნახევრის სევადის (შავ) ველზე, ცენტრში გამოსახულია ვერცხლის (თეთრი) გადაჯვარედინებული გასაღები და სატევარი.